მიხეილ (გობრონ) საბინინის „საქართველოს სამოთხის“ კომპოზიციისათვის

FOR COMPOSITION OF “GEORGIAN PARADISE” BY MIKHEIL (GOBRON) SABININ

ნესტან სულავა

Nestan Sulava

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: საბინინი, „საქართველოს სამოთხე“, სათაური-მეტაფორა, გამოცემის მიზანი, შედგენილობა, სამეცნიერო დანიშნულება

Keywords: Sabinini, “Georgian Paradise”, title – metaphor, the goal, the content of the publication, scientific meaning

მიხეილ საბინინის მიერ 1882 წელს პეტერბურგში გამოცემული წიგნის სახელწოდება „საქართველოს სამოთხე“ – სახისმეტყველებითი და მეტაფორულია. მოხსენებაში განხილულია წიგნის გამოცემასთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხი: წიგნის გამოცემის მიზანი, შედგენილობა, სამეცნიერო და პრაქტიკული საჭიროება, დანიშნულება და ღირებულება ვერტიკალურ ჭრილში, განსაკუთრებით თანამედროვე ეტაპზე, კრებულის წყაროები, წიგნის სახელწოდების რაობა და მეტაფორული გააზრება, მიხეილ საბინინის შენიშვნები და მათი ღირებულების განსაზღვრა. წიგნის აგებულების შესახებ შემდგენელი თვითონ გვაწვდის ცნობას. აქ „შეკრებილია ხრონოლოგიურად“ ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, ძირითადად ესაა ჰაგიოგრაფიული თხზულებები, აგრეთვე დაბეჭდილია რამდენიმე ისტორიული და ჰომილეტიკური თხზულება. განსაკუთრებული ღირებულება ეკისრება მიხეილ საბინინის წინასიტყვაობას, რომელიც წიგნს წინ უძღვის და მისი შექმნის სირთულეებზე, მიზანდასახულობაზე, წყაროებზე, მისადმი ქართველი და სხვა ერების წარმომადგენელთა დამოკიდებულებაზე გვესაუბრება. მიხეილ საბინინს „საქართველოს სამოთხის“ გამოცემით უდიდესი, ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის ძველი ქართული მწერლობის შესწავლისა და კვლევა-ძიების საქმეში. ფაქტობრივად, ეს იყო ქართული სასულიერო მწერლობის პირველი სრული კრებული, რომლის მსგავსი მანამდე არ გამოცემულა, ქართული საზოგადოება ამ ტიპის ბეჭდურად გამოცემულ კრებულს არ იცნობდა. შემდგენელ მ. საბინინს ამ წიგნის მნიშვნელობა თვითონ ძალიან კარგად ესმოდა.

ლიტერატურა:

საბინინი მ., საქართველოს სამოთხე (1882). პეტერბურგი.

The book called “Georgian Paradise” by Mikheil Sabinin was published in 1882 by Peter Burg. While talking about the publication, several items are worth bearing in mind: the goal of the publication, content, scientific and practical needs, importance and value, especially in the modern period, sources of the book, the meaning of the title of the book to define the

notes and comments made by Mikheil Sabinin. The notes were presented by the author about the format of the book. There are ancient Georgian writings in chronological order, as well as some published homily and historical stories. The main valuable part is the author's foreword, in which is the author describes issues connected to the writing of the book, its significance, sources and the attitudes of Georgians and other nationalities to the book. This book is very important for the exploration of ancient Georgian literature. It was the first full collection of ancient Georgian literature, the samples of which had not been published before. Moreover, Georgian society has no other publications of this type. The author also realized the significance of the book.

References:

Sabinini M., "The Georgian Paradise" (1882). Peter-Burg.